სსიპ სამოქალაქო
ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

12 აგვისტო 2024

N 05/2626

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ სოფიო ჭელიძეს

ქალბატონო სოფიო,

თქვენი, 2024 წლის 12 აგვისტოს №6/46160 წერილის პასუხად, რომელიც ეხება თბილისის აეროდრომის დაცვის არეში მდებარე მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით 01.12.15.003.115 პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ, რომ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზირების საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა არ გააჩნია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი"-ით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლის შესაბამისად სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან (MSL), EGM-96 სისტემაში (დედამიწის 1996 წლის გრავიტაციული მოდელი) აღემატება აეროდრომის რაიონის დაცვის არეს დადგენილ სიმაღლეს, რა დროსაც სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე - https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა